ტურიზმის კვარტალური მიმოხილვა

საქართველო

ტურიზმის ინდიკატორები 2024 წლის I კვარტალში

Research

გამოცემა 2 | ივლისი, 2024

შინაარსი

შეჯამება	
საერთაშორისო ტურიზმი	1
შიდა ტურიზმი	3
საქართველოს დაცული ტერიტორიები	4
გამყვანი ტურიზმი	5
სასტუმროს ფასები საქართველოში	6
ეკონომიკური ინდიკატორები HORECA სექტორში	7

შეჯამება

Research

- **2020 წლის შემდეგ საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ პირველად მიაღწია პანდემიამდელ მაჩვენებელს.** 2024 წლის I კვარტალში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 25%-ით გადააჭარბა 2023 წლის შესაბამის რიცხვს. საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი თურქეთიდან განხორციელდა. მას მოსდევდა რუსეთი.

- **2024 წლის I კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2023 წლის I კვარტლის მაჩვენებელს მცირედით გადააჭარბა**. ყველაზე მაღალი იყო რუსი მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი, რასაც მოსდევდა თურქეთი. თუმცა, ერთ ვიზიტზე მიღებული შემოსავლის გათვალისწინებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელები ევროკავშირსა და ისრაელს ჰქონდათ.

- **მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის I კვარტალში შიდა ვიზიტების რაოდენობამ 4.7 მილიონს მიაღწია** (7%-იანი ზრდა 2023 წლის I კვარტალთან შედარებით), ამ პერიოდში ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა შემცირდა.

- **2024 წლის I კვარტალში 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გასვლითი ვიზიტების რაოდენობა 16%-ით გაიზარდა.** დანიშნულების ქვეყნებიდან უმრავლესობაში ვიზიტორთა რაოდენობამ პანდემიამდელ მაჩვენებლებს გადააჭარბა. ვიზიტორთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დანიშნულების ადგილად **თურქეთი, რუსეთი და ევროკავშირი აირჩია**. გასვლითი ვიზიტების ძირითადი მიზანებია მეგობრების ან ნათესავების მონახულება და საყიდლები.

საქართველოს დაცული ტერიტორიები

- **2024 წლის I კვარტალში დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის სრულად აღდგენილი** პანდემიამდელ დონესთან მიმართებით.

- 2024 წლის I კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტორი **პრომეთეს მღვიმეს (26%) და თბილისის ეროვნულ პარკს (16%)** ესტუმრა.

- 2024 წლის I კვარტალში დაცულ ტერიტორიებს ყველაზე ხშირად **რუსეთიდან, ინდოეთიდან, პოლონეთიდან, ისრაელიდან და ყაზახეთიდან სტუმრობდნენ.**

- **დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტები მნიშვნელოვანი სეზონურობით ხასიათდება.** კერძოდ, III კვარტალში დაცულ ტერიტორიებზე ყველაზე მეტი ვიზიტორი მოდის სტუმრად, I კვარტალში კი - ყველაზე ნაკლები.

- **2024 წლის I კვარტალში 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სასტუმროების ფასები გაიზარდა**. ზრდა ძირითადად საოჯახო სასტუმროებისა (+5%) და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების (+3%) კატეგორიაში ფასების მატებით იყო გამოწვეული. თუმცა, კლება შეინიშნება 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებში (-2%).

საერთაშორისო ტურიზმი





- **2020 წლის I კვარტალის შემდეგ საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ პირველად მიაღწია 2019 წლის I კვარტალში დაფიქსირებულ პანდემიამდელ მაჩვენებელს.** 2024 წლის I კვარტალში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 1.3 მილიონი შეადგინა, რაც 25%-ით აღემატება 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

- **2024 წლის I კვარტალში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი თურქეთიდან განხორციელდა (ვიზიტების საერთო რაოდენობის 19%),** რომელსაც მოსდევდა რუსეთი (16%). აღსანიშნავია, რომ 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შემცირდა რუსეთიდან (16%-ით) და უკრაინიდან (23%-ით) განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა. ამავდროულად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ინდოეთიდან (44%), ყაზახეთიდან (40%) და აზერბაიჯანიდან (28%) განხორციელებული ვიზიტების რიცხვი.

- **იმ 10 ქვეყნიდან, საიდანაც 2024 წლის I კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა, 5-მა ქვეყანამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა პანდემიამდელ დონეს.** განსაკუთრებით შესამჩნევი აღდგენა შეიმჩნეოდა ბელორუსიიდან (263%) და ყაზახეთიდან (259%) განხორციელებულ ვიზიტებში.

- **2024 წლის I კვარტალში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა 2023 წლის I კვარტალთან შედარებით 6-დან 5.5 ღამემდე შემცირდა**. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მაჩვენებელი პანდემიამდელ რიცხვს (3.7 ღამე) კვლავ აღემატება.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საერთაშორისო ტურიზმი

საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი (2019 კვ. I-2024 კვ. I)



საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი ქვეყნების მიხედვით (2024 კვ. I)



- **2024 წლის I კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 807.7 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია**, რაც 2023 წლის I კვარტალთან შედარებით 2%-ით, ხოლო პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით 40%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.
- **2024 წლის I კვარტალში ყველაზე მაღალი იყო რუსი მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი (მთლიანი შემოსავლის 21%),** რასაც მოსდევდა თურქეთი (15%). თუმცა, ერთ ვიზიტზე მიღებული შემოსავლის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ევროკავშირსა (ვიზიტზე 1,535 აშშ დოლარი) და ისრაელს (1,405 აშშ დოლარი) ჰქონდათ.

*საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რუსეთის მოქალაქეების 30.5%, ბელარუსის მოქალაქეების 42.5% და უკრაინის მოქალაქეების 30.3% შეფასებულია 1 წელზე მეტი ვადით მყოფად, ან საქართველოში 1 წელზე მეტი ვადით დარჩენის

- **2024 წლის I კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორებმა ყველაზე მეტი დახარჯეს განთავსებასა (მთლიანი დანახარჯების 27%)** და **საყიდლებში (20%).** აღსანიშნავია, რომ დანახარჯებში განთავსებისა და საყიდლების განაწილება 2023 წლის I კვარტლის განაწილების მსგავსია. თუმცა, 2023 წლის I კვარტალთან შედარებით, დანახარჯებში დასვენების წილი 7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო საკვებისა და სასმლის წილი 6 პროცენტული პუნქტით შემცირდა.
- მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) შეფასებით, 2024 წელს **საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯები 12.7 მილიარდ ლარს მიაღწევს** (8.6%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით).

მსურველად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით, ისინი განიხილებიან საქართველოს რეზიდენტებად და მათი დანახარჯები საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლის გამოთვლებში არ შედის.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, WTTC

შიდა ტურიზმი

შიდა ვიზიტების რაოდენობა (2021 კვ. I-2024 კვ. I)



შიდა ვიზიტორების განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით (2024 კვ. I)



- **2024 წლის I კვარტალში შიდა ვიზიტების რაოდენობამ 4.7 მილიონს მიაღწია,** რაც 7%-ით აღემატება 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელს. თავდაპირველად, შიდა ტურიზმის მზარდ ტენდენციას პანდემიით გამოწვეული ცვლილებები განაპირობებდა. თუმცა, 2022 წლის შემდგომი დინამიკა შესაძლოა შეცვლილი იყოს, რადგან რუსი, ბელორუსი და უკრაინელი იმიგრანტების დიდი რაოდენობა უკვე რეზიდენტებად მოიაზრებიან. ამდენად, შიდა ტურიზმის ზრდა არ მიუთითებს აუცილებლად იმაზე, რომ უფრო მეტი ქართველი ისვენებს ქვეყნის შიგნით.[1]
- **შიდა ვიზიტორთა განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით 2024 წლის I კვარტალში 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მსგავსია**. შიდა ვიზიტორებისთვის ძირითადი დანიშნულების ადგილი იყო თბილისი (მთლიანი ვიზიტების 24%), რასაც მოსდევდა იმერეთი (18%) და აჭარა (10%).
- **2021-დან მომდევნო წლების კვარტალურ მაჩვენებლებზე დაკვირვებით შეინიშნება ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის კლების ტენდენცია.** 2024 წლის I კვარტალში ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 1.2 ღამეა, რაც 2023 წლის (1.3 ღამე) და 2019 წლის (1.4 ღამე) შესაბამის პერიოდებთან შედარებით მცირედით შემცირებული მაჩვენებელია.
- **2024 წლის I კვარტალში შიდა ვიზიტორების მთლიანმა დანახარჯებმა 798 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 8.6%-ით მეტია 2023 წლის I კვარტალთან შედარებით.** დანახარჯების განაწილება წინა პერიოდების მსგავსია, კერძოდ, ყველაზე დიდი ადგილი უკავია საყიდლების (35%), საკვებისა და სასმლის (21%) და ტრანსპორტის (19%) დანახარჯებს.
- WTTC-ის შეფასებით, 2024 წელს **შიდა ვიზიტორთა დანახარჯები 7.2 მილიარდ ლარს მიაღწევს** (10.1%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით).

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, WTTC

საქართველოს დაცული ტერიტორიები





- **2024 წლის I კვარტალში დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა ჯერ კიდევ 10%-ით ჩამორჩება 2019 წლის I კვარტალში დაფიქსირებულ პანდემიამდელ დონეს.** 2019 წლიდან მოყოლებული, ადგილობრივ ვიზიტორებს საერთაშორისო ვიზიტორები სჭარბობდნენ, გარდა 2020 წლისა, როდესაც მათი რიცხვი კოვიდ-19 პანდემიის გამო შემცირდა. 2023 წელს საერთაშორისო ვიზიტორებმა მთლიანი ვიზიტების 58% შეადგინეს.
- 2021 წლიდან მოყოლებული, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ვიზიტები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. **2024 წლის I კვარტალში დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებულმა ვიზიტებმა ჯამურად 61 ათასს მიაღწია**, რაც ოდნავ აღემატება 2023 წლის I კვარტლის მაჩვეებელს თუმცა ჩამორჩება 2019 წლის შესაბამის პერიოდში დაფიქსირებულ რიცხვს.
- 2024 წლის I კვარტალში დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ვიზიტორთა უმეტესობა იყო **რუსეთიდან (30%), ინდოეთიდან (28%), პოლონეთიდან (12%), ისრაელიდან (12%) და ყაზახეთიდან (9%).**
- 2024 წლის I კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტორი **პრომეთეს მღვიმეს** (26%) და **თბილისის ეროვნულ პარკს** (16%) ესტუმრა.
- **დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტები მნიშვნელოვანი სეზონურობით ხასიათდება.** კერძოდ, III კვარტალში დაცულ ტერიტორიებს ყველაზე მეტი ვიზიტორი სტუმრობს (საშუალოდ წლიური ვიზიტების 50%-ზე მეტი), I კვარტალში კი - ყველაზე ნაკლები (საშუალოდ მხოლოდ 7%).

წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

გამყვანი ტურიზმი





- **2024 წლის I კვარტალში საქართველოს რეზიდენტების მიერ განხორციელებული გასვლითი ვიზიტების რაოდენობამ 522 ათასი შეადგინა,** რაც 16%-ით მეტია 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხოლო 8%-ით მეტია 2019 წლის I კვარტლის მაჩვენებლებთან შედარებით.
- **2024 წელის I კვარტალში ვიზიტორების 39%-მა დანიშნულების ადგილად აირჩია თურქეთი, რომელსაც მოსდევდა რუსეთი (17%), ევროკავშირი (16%) და სომხეთი (12%).** დანიშნულების ქვეყნებში ვიზიტების რაოდენობა საგრძნობლად აღემატებოდა პანდემიანდელ მაჩვენებლებს. გამონაკლისია აზერბაიჯანი, სადაც სახმელეთო საზღვრის ჩაკეტვის შედეგად 2024 წლის I კვარტალში ვიზიტორთა რაოდენობამ 2019 წლის შესაბამის პერიოდში დაფიქსირებული მაჩვენებლის მხოლოდ 9% შეადგინა.
- **გამსვლელი ვიზიტორების დანახარჯებმა 2024 წელის I კვარტალში 455 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 27%-ით მეტია 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 22%-ით აღემატება 2023 წლის I კვარტლის მაჩვენებელს.** დანახარჯების განაწილება წინა პერიოდების მსგავსია, კერძოდ უდიდესი ნაწილი კვლავ უკავია საყიდლებს (35%), კვებას (21%) და ტრანსპორტირებას (19%).
- **2024 წელის I კვარტალში საქართველოს მოქალაქეების გასვლითი ვიზიტების უმთავრესი მიზანი იყო მეგობრების ან ნათესავების მონახულება (მთლიანი ვიზიტების 35%)**, რასაც მოსდევდა საყიდლები (34%). 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა იმ ვიზიტორთა წილი, რომელთა მთავარ მიზანსაც წარმოადგენდა პროფესიული ვიზიტები (-6 პპ), ხოლო გაიზარდა მათი წილი, ვისთვისაც მოგზაურობის მთავარი მიზანი საყიდლები იყო (8 პპ).

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასტუმროს ფასები საქართველოში



- **2024 წლის თებერვლის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია 3,198 განთავსების საშუალების მიმწოდებელი,** რომელთა უმეტესობა მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთში (19%), თბილისსა (17%) და აჭარაში (15%).
- **რაც შეეხება სასტუმროების ფასებს საქართველოში, 2024 წლის I კვარტალში 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სასტუმროების ფასები გაიზარდა.** ზრდა ძირითადად საოჯახო სასტუმროებისა (საშუალოდ, წინა წლის I კვარტალთან შედარებით 5%) და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების კატეგორიაში (საშუალოდ, წინა წლის I კვარტალთან შედარებით 3%) ფასების მატებით იყო გამოწვეული. თუმცა, კლება შეინიშნება 3-ვარსკვლავიანი სასტუმ-როების ფასებში (2%).
- **სასტუმროების ფასები საქართველოში საგრძნობი სეზონურობით ხასიათდება.** ფასის მნიშვნელოვანი სეზონური მატება შეიმჩნევა მაისი-სექტემბრის პერიოდში, ხოლო უფრო მცირე მასშტაბით დეკემბერი-მარტის შუალედში.

* შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შე-დეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი)

ეკონომიკური ინდიკატორები HORECA სექტორში

მთლიანი შიდა პროდუქტი HORECA სექტორში



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები HORECA სექტორში



ინვესტიციები HORECA სექტორში 2023 წელს ქვეყნების მიხედვით



HORECA სექტორის ბრუნვა



დასაქმება HORECA სექტორში



ნომინალური საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება HORECA სექტორში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

დამატებითი წყაროები:

1 https://pmcg-i.com/publication/sector-and-value-chain-analytics-2022/

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი
უმცროსი მკვლევარი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

სალომე ყაველაშვილი
უმცროსი მკვლევარი
s.kavelashvili@pmcginternational.com

მარიამ ჯიქია
კვლევითი ასისტენტი
m.jikia@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org